EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეოთხე სექცია

განჩინება

საჩივარი № 43174/08

ნიკოლოზ მჭედლიშვილი საქართველოს წინააღმდეგ

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მეოთხე სექცია), კომიტეტის 2014 წლის 23 სექტემბრის სხდომაზე, შემდეგი შემადგენლობით:

გეორგე ნიკოლაუ, *თავმჯდომარე,*

ნონა წოწორია,

პოლ მაჰოუნი, *მოსამართლეები,*

და ფატოშ არაჩი, *სექციის განმწესრიგებელი მოადგილე,*

მხედველობაში მიიღო 2008 წლის 29 აგვისტოს შემოტანილი წინამდებარე საჩივარი,

მხედველობაში მიიღო მოპასუხე მთავრობის მიერ 2014 წლის 21 მაისს წარმოდგენილი დეკლარაცია, რომელშიც იგი ითხოვს, რომ ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული საჩივარი ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, და ამ დეკლარაციაზე მომჩივნის პასუხი,

განხილვის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი განჩინება:

ფაქტები და პროცედურა

1. მომჩივანი, ბ-ნი ნიკოლოზ მჭედლიშვილი, იყო საქართველოს მოქალაქე, რომელიც დაიბადა 1974 წელს და გარდაიცვალა 2011 წელს (იხილეთ ქვემოთ პარაგრაფი 5). სასამართლოში მას, შესაბამისად, წარმოადგენდნენ ჯერ ბ-ნი მ. ნოზაძე და შემდეგ ქ-ნი ს. აბულაძე, ადვოკატები, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ თბილისში.

2. საქართველოს მთავრობას (შემდგომში „მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი, ბ-ნი ლ. მესხორაძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან.

3. 2007 წლის 11 იანვარს, მომჩივანი დააპატიმრეს მკვლელობის მცდელობის, ყაჩაღობის, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ფლობისა და ზოგიერთი სხვა დანაშაულის ჩადენის საფუძველზე; ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, იგი მოთავსებულ იქნა ციხის საავადმყოფოში. 2007 წლის 26 ივნისს მომჩივანი გაასამართლეს ზემოაღნიშნული სამართალდარღვევების გამო და მიუსაჯეს ოცდახუთი წლით თავისუფლების აღკვეთა. 2008 წლის 2 მაისს სააპელაციო სასამართლომ ეს განაჩენი ძალაში დატოვა.

4. პირველი მომჩივნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და შემდგომ მისი დაკავების პერიოდში იგი უკვე დაავადებული იყო ფილტვების ტუბერკულოზით, ვირუსული C ჰეპატიტით და ჰქონდა ნერვოლოგიური დარღვევა, რამაც მისი სრული პარაპლეგია გამოიწვია. არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის თანახმად, მას დაუწყეს აუცილებელი სტაციონარული მკურნალობა, რისთვისაც იგი მოათავსეს ციხის საავადმყოფოში. დაპატიმრების შემდეგ მომჩივანს, 2009 წლის 13 ოქტომბერს, დამატებით დაუსვეს შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის დიაგნოზი, რომელიც უკვე B2 სტადიაში იყო და დაუწყეს შესაბამისი ანტირეტროვირუსული მედიკამენტებით მკურნალობა.

5. 2011 წლის 7 ივნისს მომჩივნის წარმომადგენელმა (შემდგომში „წარმომადგენელი“) ევროპულ სასამართლოს აცნობა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი გარდაცვლილი იყო საპატიმროში 2010 წლის 25 ივნისს ტუბერკულოზით გამოწვეული რესპირატორული გართულებების შედეგად. საპასუხოდ ევროსასამართლო დაინტერესდა, ჰყავდა თუ არა გარდაცვლილ მომჩივანს მემკვიდრე ან ახლო ნათესავი, რომელიც ისურვებდა საქმის გაგრძელებას სრულად ან ნაწილობრივ (შეადარეთ საქმე – *ლეჟე საფრანგეთის წინააღმდეგ,* (დეკ.), [დიდი პალატა], № 19324/02, §§ 43-51, 2009 წლის 30 მარტი).

6. 2011 წლის 21 ივლისს მომჩივნის წარმომადგენელმა ევროპულ სასამართლოს აცნობა, რომ მის მეუღლეს, ქ-ნ ლია მინდიაშვილს, სურდა საქმის გაგრძელება, რამდენადაც იგი ეხებოდა მისი ქმრის საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ მას სხვადასხვა სერიოზული დაავადებების სამკურნალოდ საჭირო სამედიცინო მომსახურება საპატიმროში, სავარაუდოდ, არ უტარდებოდა. არაფერი იყო ნათქვამი სხვა საჩივრების შესახებ, რომლებიც თავდაპირველად იყო წარდგენილი მომჩივნის მიერ. წარმომადგენელმა დამატებით უკმაყოფილება გამოთქვა იმის თაობაზეც, რომ არანაირი სისხლის სამართლებრივი ან დისციპლინური გამოძიება არ იყო ჩატარებული მომჩივნის გარდაცვალების ზუსტი მიზეზის დასადგენად.

7. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად მომჩივნის მხარეს ეს ინფორმაცია უკან ჰქონდა გათხოვილი სასამართლოდან, მთავრობამ 2014 წლის 24 მარტს განაცხადა, რომ

2013 წლის პირველ ნახევარში მომჩივნის ცოლს სამოქალაქო სარჩელი ჰქონდა შეტანილი ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ მისი ქმრისთვის ჩატარებული არასათანადო მკურნალობისა და შედეგად ციხეში მისი გარდაცვალების გამო. 2013 წლის 25 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ წარმოებაში მიიღო მისი სარჩელი და ადმინისტრაციას დააკისრა 10,000 ლარის (დაახლოებით 4,600 ევროს) გადახდა მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. როგორც შესაბამისი საბანკო ოპერაციის ჩანაწერით დასტურდება, აღნიშნული თანხა დადგენილი წესით იქნა გადახდილი 2013 წლის 12 ივლისს.

პრეტენზიები

8. კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საფუძველზე, მომჩივანმა საჩივარი შეიტანა ციხეში სათანადო მკურნალობის არარსებობის თაობაზე.

9. კონვენციის მე-6 და მე-8 მუხლებზე დაყრდნობით, მომჩივანმა საჩივარი შეიტანა ასევე მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შედეგთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მის ცოლს არ ჰქონდა მისი ციხეში მონახულების შესაძლებლობა. მომჩივანმა მოითხოვა კონვენციის მე-13 და მე-14 მუხლების გამოყენება რაიმე ლოგიკურად ახსნა-განმარტების გარეშე.

სამართალი

ა. ციხეში სათანადო მკურნალობის არარსებობასა და მომჩივნის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

10. შესაბამისად, 2008 წლის 23 ოქტომბერს და 2010 წლის 13 იანვარს ევროპულმა სასამართლომ მთავრობას ჯერ აცნობა მომჩივნის საჩივრის შესახებ ციხეში სათანადო მკურნალობის არარსებობასთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგ კი სთხოვა იმავე საჩივართან დაკავშირებით დამატებითი სამართლებრივი დასაბუთების წარდგენა, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად.

11. საქმეზე მორიგების მიღწევის მცდელობების, რომლებიც 2013 წლის აპრილში დაიწყო, წარუმატებლად დასრულების შემდეგ, 2014 წლის 21 მაისის წერილით მთავრობამ ევროსასამართლოს აცნობა, რომ მან დააყენა ცალმხრივი დეკლარაციის შეთავაზების წინადადება საჩივრის ამ ნაწილში წამოჭრილი პრობლემის მოგვარების მიზნით. მთავრობამ დამატებით სთხოვა ევროპულ სასამართლოს, კონვენციის 37-ე მუხლის შესაბამისად, საჩივრის განსახილველ საქმეთა ნუსხიდან ამორიცხვა. დეკლარაცია შემდეგი შინაარსისაა:

„ცალმხრივი დეკლარაციით, საქართველოს მთავრობა ადასტურებს იმ გარკვეულ ხარვეზებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ციხეში მომჩივნის მკურნალობის პერიოდში კონვენციის მე-3 მუხლის

ფარგლებში და ასევე კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას მომჩივნის გარდაცვალების მიზეზის საკმარისად არ შეფასების გამო, რადგან არ ჩატარდა დამოუკიდებელი და სრულყოფილი გამოძიება

ზემოაღნიშნული საქმის საფუძველზე და სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მთავრობა ვალდებულებას იღებს, რომ ჩაატაროს მომჩივნის გარდაცვალებასთან დაკავშირებული გარემოებების გამოძიება და, ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილებით მიკუთვნებული 10,000 ლარის (დაახლოებით 4,600 ევროს) გარდა, მზადაა ქ-ნ ლია მინდიაშვილს გადაუხადოს 4,500 (ოთხი ათას ხუთასი) ევრო ნებისმიერი მატერიალური და მორალური ზიანის, ასევე ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად.

ეს თანხა გადაყვანილი იქნება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად და იგი განთავისუფლდება ნებისმიერი გადასახადისგან რომელიც შეიძლება დაეკისროს მომჩივანს. ეს თანხა გადახდილი იქნება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების შესახებ შეტყობინების დღიდან სამი თვის ვადაში [...]. აღნიშნული თანხის ზემოაღნიშნულ სამთვიან ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, მთავრობა ვალდებული იქნება, გადაიხადოს ამ თანხაზე დარიცხული ჩვეულებრივი პროცენტი, რომელიც მოიცავს ამ ვადის გასვლიდან გადახდის შესრულებამდე პერიოდს, იმ განაკვეთით, რომელიც შეესაბამება გადაცილებულ პერიოდში არსებულ ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრულ სასესხო განაკვეთს რასაც დაემატება სამი პროცენტი.

ზემოხსენებული პირობების შესრულებით აღნიშნული საქმე საბოლოოდ მოგვარდება.“

12. 2014 წლის 11 ივნისის წერილში მომჩივნის მეუღლემ განაცხადა, რომ იგი არ იყო კმაყოფილი ცალმხრივი დეკლარაციის პირობებით იმის გამო, რომ მასში არ იყო მითითებული მოპასუხე სახელმწიფოს ვალდებულება, გამოეძიებინა და დაედგინა მისი ქმრის ციხეში გარდაცვალების ზუსტი მიზეზი.

13. ევროპული სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ მომჩივნის ცოლს უფლება აქვს, მოითხოვოს თავისი თავის დაზარალებულად ცნობა, კონვენციის 34-ე მუხლის მნიშვნელობით, იმ დარღვევების გამო, რომელთა შესახებაც აცხადებდა მომჩივანი კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად (სხვა საქმეებს შორის იხილეთ საქმე – *რენოლდი საფრანგეთის წინააღმდეგ,* № 5608/05, § 69, 2008 წლის 16 ოქტომბერი). გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ აშკარად მომჩივნის ჯანმრთელობასთან დაკავშირებულმა სერიოზულმა პრობლემებმა გამოიწვია ციხეში მისი გარდაცვალება, ევროპული სასამართლო თვლის, რომ წინამდებარე საქმე, ძირითადად, ექცევა კონვენციის მე-2 მუხლის მოქმედების სფეროში (შეადარეთ, მაგალითად, საქმეს – *მახარაძე და სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ,* № 35254/07, § 74 და 94, 2011 წლის 22 ნოემბერი).

14. ევროპული სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის 37-ე მუხლის თანახმად, სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე მას უფლება აქვს, საჩივარი ამორიცხოს მის მიერ განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, თუ საქმის გარემოებებზე დაყრდნობით გაკეთდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტში მითითებული ერთ-

ერთი დასკვნა. 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ევროსასამართლოს საშუალებას აძლევს საქმე ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან, თუ:

„ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა მიზეზით, საჩივრის განხილვის გაგრძელება აღარ არის გამართლებული“.

15. ევროპული სასამართლო ასევე შეახსენებს, რომ გარკვეულ გარემოებებში მას უფლება აქვს, 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საჩივარი ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან მოპასუხე მთავრობის ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე მაშინაც კი, როდესაც მომჩივანს სურს საქმის შესწავლის გაგრძელება.

16. ამიტომ, ევროპული სასამართლო ყურადღებით გაეცნობა აღნიშნულ დეკლარაციას მისი სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე პრინციპების გათვალისწინებით, კერძოდ, იხილეთ *ტაჰსინ აკარის* განჩინება (იხილეთ საქმეები *ტაჰსინ აკარი თურქეთის წინააღმდეგ* (წინასწარი საკითხები) [დიდი პალატა], № 26307/95, §§ 75-77, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 2003-VI); *ვაზა სპოლკა ზ ო.ო. პოლონეთის წინააღმდეგ* (დეკ.) № 11602/02, 2007 წლის 26 ივნისი; და *სულვინსკა პოლონეთის წინააღმდეგ* (დეკ.) № 28953/03).

17. ევროპულმა სასამართლომ რამდენიმე, მათ შორის, საქართველოს წინააღმდეგ აღძრულ საქმეში, დაამკვიდრა თავისი პრაქტიკა იმ საჩივრებთან მიმართებაში, რომლებიც ეხება ციხეში სიცოცხლისთვის საშიში სხვადასხვა დაავადების (რომლებიც ზოგჯერ ფატალური შედეგით სრულდება) სათანადო მკურნალობის არარსებობას (იხილეთ, მაგალითად, ზემოთ ხსენებული საქმე – *სიხარულიძე და მახარაძე,* §§ 75-93; საქმეები – *პოღოსიანი საქართველოს წინააღმდეგ,* № 9870/07, §§ 46-62, 2009 წლის 24 თებერვალი; *სალახოვი და ისლიამოვა უკრაინის წინააღმდეგ,* № 28005/08, §§ 164-194, 2013 წლის 14 მარტი). ამასთან დაკავშირებით ევროსასამართლო იმეორებს, რომ, როგორც კონვენციის მე-2 მუხლის ფუნდამენტური ბუნება მოითხოვს, უნდა არსებობდეს გარკვეული ფორმის რაიმე ქმედითი ოფიციალური გამოძიება იმისათვის, რომ დადგინდეს იმ პატიმრის გარდაცვალების მიზეზი, რომელიც მძიმედ იყო ავად ციხეში, ასევე სათანადო მკურნალობის სავარაუდო ნაკლებობის არსებობა (იხილეთ მაგალითად, ზემოთ ხსენებული საქმე – *მახარაძე და სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ,* §§ 87-89).

18. ამგვარად, გაეცნო რა მთავრობის დეკლარაციის პირობებს, ევროპული სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მთავრობის დაუყოვნებელ ვალდებულებას, გამოიკვლიოს ციხეში მომჩივნის გარდაცვალების მიზეზი. გარდა ამისა, ევროპული სასამართლო ასევე თვლის, რომ იმ საკომპენსაციო თანხის მოცულობა, რომლის გადახდაც მთავრობამ შესთავაზა მომჩივნებს ერთობლივად, ადეკვატურია წინამდებარე საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

19. ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, ევროსასამართლო თვლის, რომ საჩივრის განხილვის გაგრძელება მეტად აღარ არის გამართლებული (37-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). უფრო მეტიც, განსაკუთრებით კი ამ საკითხთან მიმართებაში ზუსტი და ფართო სასამართლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ევროპული სასამართლო აცხადებს, რომ ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემა, როგორც კონვენციასა და მის დამატებით ოქმებშია განსაზღვრული, არ მოითხოვს საჩივრის განხილვის გაგრძელებას (37-ე მუხლის პირველი პუნქტი, საბოლოოდ).

20. და ბოლოს, ევროპული სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთავრობის მიერ თავისი ცალმხრივი დეკლარაციის პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კონვენციის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, შესაძლებელია საჩივრის აღდგენა განსახილველ საქმეთა ნუსხაში (იხილეთ საქმე – *იოსიპოვიჩი სერბეთის წინააღმდეგ* (დეკ.), № 18369/07, 2008 წლის 4 მარტი).

ბ. საჩივრის დარჩენილ ნაწილთან დაკავშირებით

21. საჩივრის დარჩენილ ნაწილთან, კერძოდ, კონვენციის მე-6, მე-8, მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე შეტანილ საჩივრებთან, დაკავშირებით ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ციხეში სათანადო მკურნალობის სავარაუდო არარსებობასა და ამის შედეგად გამოწვეულ გარდაცვალებასთან დაკავშირებული საჩივრებისგან განსხვავებით, მომჩივნის ცოლს არ გამოუხატავს სურვილი, საქმე აღძრულიყო დარჩენილ საჩივრებთან დაკავშირებით (შეადარეთ ზემოთ ხსენებულ *ლეჟეს* საქმეს, §§ 43-51).

22. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და კონვენციით განსაზღვრული შესაბამისი უფლებების გარდაცვლილი მომჩივნიდან მის ცოლზე გადაცემის პირობის დარღვევის გარეშე, ევროპული სასამართლო თვლის, რომ საჩივრის დარჩენილი ნაწილის განხილვის გაგრძელება კონვენციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მეტად აღარ არის გამართლებული. გარდა ამისა, იგი მიიჩნევს, რომ ადამიანის უფლებების მიმართ პატივისცემა არც საჩივრის ამ ნაწილის განხილვის გაგრძელებას მოითხოვს.

ამის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ ერთხმად

გაითვალისწინა მოპასუხე მთავრობის დეკლარაციის პირობები კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად და მათში მითითებული ვალდებულებების შესრულებისთვის საჭირო საშუალებები;

მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნული საჩივარი, კონვენციის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამორიცხოს განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

ფატოშ არაჩი
სექციის განმწესრიგებელი მოადგილე

გეორგე ნიკოლაუ
თავმჯდომარე